მტაცებლისა და ადამიანის კონფლიქტის შეფასება ჯავახეთის პლატოზე

მარიამ ავაქოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობა (MSC) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ბუნებათსარგებლობა (MSC)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ზურაბ გურიელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მ.ავაქოვი

10.06.2018

სარჩევი

განაცხადი i

სარჩევი ii

აბსტრაქტი 4

შესავალი 5

ლიტერატურის მიმოხილვა 6

მასალა და მეთოდი 15

შედეგები და მათი განხილვა 19

დასკვნა 55

დისკუსია 57

სამადლობელი 60

გამოყენებული ლიტერატურა 62

დანართები 71

აბსტრაქტი

ჯავახეთის რეგიონში მგლის და ადამიანს შორის კონფლიქტის დონის შეფასების კვლევა აქამდე არ იყო ჩატარებული, ამაზე დაყრდნობით საკვლევი ობიექტი და მიზანი გახდა ჯავახეთის რეგიონში გამოგვეკლია მგლის და ადამიანის არსებული კონფლიქტი, მისი დონის შეფასება, მოსახლეობის დამოკიდებულება, თავდასხმების სიხშირის დადგენა და შეფასება. მიღებული მონაცემების დამუშავებით მიზანში ნახსენები საკითხების გაანალიზება და განხილვა. მონაცემების შეგროვება 16 სოფელში ვიზიტით და მოსახლეობაში გამოკითხვების და ინტერვიუების ჩატარებით მოხერხდა. შეგრევებული მონაცემების დამუშავების და ინტერვიების გაშიფრის დროს გამოვიყენე Google Drive-ს ფორმა და Excell- ი, რომელშიც შევიტანე ყველა ინფორმაცია და შევადგინე გრაფიკები, როგორიცაა მგლის თავდასხმების წლიური და სეზონური მაჩვენებლები, რესპოდენტების პასუხები მტაცებლის მომატებაზე თუ არ მომატებაზე, მტაცებლის - როგორც პრობლემის, საქონლის დაცულობა, მგელთან მიმართებული პრობლემაში ვის მიუძღოდა ბრალი, ვის უნდა მოეგვარა და ა.შ. კვლევამ აჩვენა, რომ კონფლიქტი არაა ძლიერი მოსახლეობის და მტაცებლეს შორის, ეს კონფლიქტი უფრო არის გამოწვეული დაზარალებული რესპოდენტების შეშფოთებით და მოსახლეობაში არსებული შიშით, რომ მგლები მათ ქუჩაში გადაადგილების დროს არ დაესხნენ თავს

საკვანძო სიტყვები: Canis Lupus, მგელი, მესაქონლეობა, კონფლიქტი, ჯავახეთი